



პრეს-რელიზი

USAID / REAP -ს ტრენინგის პროგრამა მოსავლის აღების შემდგომი დამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიების საკითხებში

USAID/REAP-ს ფარგლებში ჩაატარა ორი ტრენინგი მოსავლის აღების შემდგომი დამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიების საკითხებში, რაგდანაც საქართველოში არ არის სათანადო მოსავლის აღების, შემდგომი დასაწყობებისა და სამაცივრო მეურნეობის ინფრასტრუქტურა რთულდება ახალი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტირება საერთაშორისო ბაზარზე. ადგილობრივი მეწარმეებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განავითარონ შესაძლებლობები ამ მიმართულების და გადაამზადონ თავიანთი ტექნიკური პერსონალი ხილისა და ბოსტნეულის სათანადოდ ტრანსპორტირებისა და დასაწყობების საკითხებში. ეს ერთადერთი გზაა ქართული წარმოების პროდუქტის ხარისხის შესანარჩუნებლად და ევრო კავშირში და მაღასხარისხიან ბაზარზე ექსპორთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

ტრენინგის თემა: პირველი ტრენინგი დაეთმო - ციტრუსისა და სუბტროპიკული ხილის მოსავლის აღებას და შემდგომ დამუშავებას

ტრენინგის ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მწვანე კონცხი)

ტრენინგის ჩატარების დრო: 17-21 სექტემბერი, 2014

ტრენინგის თემა: მეორე ტრენინგი დაეთმო - ვაშლისა და კურკოვანი ხილის მოსავლის აღებას და შემდგომ დამუშავებას

ტრენინგის ჩატარების ადგილი: ქ. გორი, გორის პროფესიული კოლეჯი - განთიადი, ბესიკის ქუჩა N2

ტრენინგის ჩატარების დრო: 22-27 სექტემბერი, 2014

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი წარმოადგენს ხუთწლიან პროგრამას, რომლის ბიუჯეტი შეადგენს \$19.5 მილიონს. პროგრამის მიზანია სოფლად შემოსავლების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. კერძოდ, გათვალისწინებულია მექანიზაციისა და ფერმერთა მომსახურების ცენტრების, სასაწყობო მეურნეობის, დამახარისხებელი, მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელი საწარმოების დახმარება, რის შედეგადაც ამალდება სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მომსახურების ხარისხი. პროექტი ხელს შეუწყობს სოფლის

მეურნეობის დარგში ინვესტიციების მოზიდვას, შეამცირებს სოფლად მცირე და საშუალო საწარმოებისა და მეწარმეთათვის არსებულ რისკ - ფაქტორებს, გააძლიერებს მდგრად კომერციულ კავშირებს მომსახურების ცენტრებს, მწარმოებლებს, სასაწყობე საწარმოებსა და ადგილობრივ ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიებს შორის. დღევანდელი მდგომარეობით პროექტის ფარგლებში, USAID -ს მიერ დამტკიცებულია 34 პროექტი (14 მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელი საწარმო, 15 ფერმერთა და მექანიზაციის მომსახურების ცენტრი, 4 პირველადი წარმოება, და 1 ინფორმაციისა და სერვისის მომწოდებელი), ამ 34 გრანტის საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 3.4 აშშ დოლარს და თანამონაწილეობა კერძო სექტორიდან შეადგენს დაახლოებით 10.5 აშშ დოლარს.

დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ მაკა ნოსელიძეს - 59119299 /

mnoselidze@georgiareap.org